



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 22 აპრილი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის ეროვნული კოორდინატორი, ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
4. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
5. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
6. ვლადიმირ ბოჭაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი

მოწვეული სტუმარი: ვახტანგ ზარქუა, ენერგოეფექტურობის ფონდის თავმჯდომარე

## განსახილველი საკითხები:

- პირველი სექტორალური შეხვედრის შედეგების განხილვა;
- მზადება მეორე სექტორალური შეხვედრისთვის;
- საქართველოს ეროვნულ პლატფორმასა და მთავრობასთან, ასევე პლატფორმასა და პარლამენტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების სამოქმედო გეგმების განხილვა;
- მაისის კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები;
- გაწვევრიანების საკითხი;
- ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის მოხსენება „პლატფორმის სისტემური რეფორმების შესახებ“
- სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და, ბ-ნი ლაშა ტულუშის თხოვნით, სიტყვა გადასცა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნულ კოორდინატორს, რათა საკოორდინაციო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ პლატფორმასა და მთავრობასთან, ასევე პლატფორმასა და პარლამენტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

### 1. მაისის კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები;

### 2. საქართველოს ეროვნულ პლატფორმასა და მთავრობასთან, ასევე პლატფორმასა და პარლამენტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების სამოქმედო გეგმების განხილვა

ბატონმა ლაშა ტულუშმა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მემორანდუმების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მათი წარმატებით იმპლემენტაციისთვის მნიშვნელოვანია შემუშავდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა. მან საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პლატფორმის სამდივნო ორგანიზაცია კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფს კონფერენციის ორგანიზებას, სადაც პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს ექნებათ შესაძლებლობა უცხოელ და ქართველ ექსპერტებთან ერთად შეიმუშაონ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის სამოქმედო გეგმა, მათ შორის მიიღონ კონკრეტული რჩევები კანონპროექტის დასკვნების მომზადების შესახებ. როგორც მან აღნიშნა, კონფერენციის ფორმატი და კონკრეტული აქტივობები ჯერ კიდევ მოლაპარაკების პროცესშია და დაზუსტებულ დეტალებს მოგვიანებით მიაწვდის საკოორდინაციო საბჭოს.

ბატონმა ლაშამ, ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შესაძლებლობაზე, გამართოს წელიწადში რამდენიმე კონფერენცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათთვის აქტუალურ საკითხებზე. აღნიშნულ ფორმატში იგეგმება უსაფრთხოების საკითხებზე, რუსეთის გავლენის შეფასების თვალსაზრისით, საქართველოში კონფერენციის ორგანიზება.

ეროვნულმა კოორდინატორმა საბჭოს წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის შეხვედრის შესახებ.

**3. ასევე განიხილეს პლატფორმის ორგანიზაციების მიერ საკანონმდებლო ინიციატივების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და ზეგავლენის შეფასების შესაძლებლობების განვითარების საკითხი. ამის თაობაზე გადაწყდა, რომ კონსულტაციები გაიმართოს ევროკავშირის მიმდინარე პროექტებთან, რომლებიც ანალოგიური რჩევებით ეხმარებიან საქართველოს მთავრობას.**

#### **4. მომზადება მეორე სექტორალური შეხვედრისთვის;**

შემდეგ საკითხად, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა კახა გოგოლაშვილმა მოკლედ მიმოიხილა პირველი სექტორალური შეხვედრის შედეგები და დადებითად შეაფასა შეხვედრა. მან ასევე წამოაყენა ინიციატივა შეიქმნას სექტორალური შეხვედრების დღის წესრიგი, სადაც წინასწარ გაიწერება კონკრეტულ სექტორებთან შეხვედრის თარიღები. ამასთანავე, სამდივნოს დაევალოს, სთხოვოს ჯგუფის კოორდინატორებს წინასწარ განსაზღვრონ კონკრეტული სექტორები, განსახილველი საკითხები და შეხვედრის დრო (მაისიდან დეკემბრის ჩათვლით), რათა შემდგომ ეტაპზე პლატფორმის თავმჯდომარემ შეათანხმოს შეხვედრის დეტალები.

მეორე სექტორალურ შეხვედრასთან დაკავშირებით სამდივნომ გააკეთა მოკლე განცხადება, რომ ჯერ კიდევ დასადგენია პლატფორმის სამუშაო ჯგუფიდან გამომსვლელთა სია. აღინიშნა, რომ აუცილებელია დაჩქარდეს დღის წესრიგის შედგენა.

საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ანზორ დუნდუამ აღნიშნა, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ამზადებს სტრატეგიას, რომელსაც არ ეთანხმებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ამდებად პრიორიტეტულია დროის უახლოეს მონაკვეთში დაიგეგმოს შეხვედრა ენერგეტიკის სამინისტროსთან.

#### **5. პლატფორმაში გაწევრიანების საკითხი;**

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა ორგანიზაციების: „იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი სპექტრი“-სა და „თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხების სამოქალაქო საბჭო“-ს განაცხადი პლატფორმაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

მსჯელობის შემდეგ წარმოდგენილი ორგანიზაციების გაწევრიანების საკითხი პლატფორმამ დადებითად გადაწყვიტა.

#### **6. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის მოხსენება „პლატფორმის სისტემური რეფორმების შესახებ“**

შეხვედრის ბოლოს საბჭომ მოისმინა ენერგოეფექტურობის ფონდის თავმჯდომარის, ბატონი ვახტანგ ზარქუას მოხსენება „პლატფორმის სისტემური რეფორმების შესახებ“.

ბატონმა ვახტანგამა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით გამოთქვა შენიშვნები, მათ შორის შეზღუდვაზე, რომ ერთ პირს შეუძლია მხოლოდ ერთი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მიიღოს

მონაწილეობა<sup>1</sup>; ჯგუფის კოორდინატორების არჩევის წესთან დაკავშირებით; სამდივნო ორგანიზაციისა და თავმჯდომარის ფუნქციების გამიჯვნის შესახებ; ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მუშაობდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მიმართულებით და ამ ეტაპზე მასზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

მან საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინა წინადადება სამდივნო დარეგისტრირდეს ცალკე იურიდიულ პირად, როგორც პლატფორმის მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია და მას დაეკისროს აღმასრულებელი ფუნქცია. ამასთანავე შეიქმნას სამდივნოს ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც იქნება მაკონტროლებელი ორგანო.

ბატონმა ვახტანგ ზარქუამ საბჭოს ასევე შესთავაზა ინიციატივა შეიქმნას 3 კაციანი ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს პლატფორმის ახალ წესდებებს, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმასა და კონცეფციას. მას შემდეგ რაც დოკუმენტი მიიღებს სრულყოფილ სახეს ჯგუფმა გააკეთოს პრეზენტაცია, რომელსაც გაიტანს კონფერენციაზე და პლატფორმის წევრი ორგანიზაციები განხილვის შემდგომ დამტკიცებენ მათ მიერ შემუშავებულ წესდებებს.

ენერგოეფექტურობის ფონდის თავმჯდომარის მიერ განხილულ საკითხებს უპასუხა პლატფორმის თავმჯდომარემ. როგორც ბატონმა კახა გოგოლაშვილმა აღნიშნა, თავმჯდომარის ფუნქციები და სამდივნოს ფუნქციები, რომელიც პლატფორმის წევრი ორგანიზაციის „ლიბერალური აკადემია - თბილისის“ ბაზაზე არსებობს, ცალსახად გამიჯნულია. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ამ ეტაპზე წარმოადგენს პლატფორმის სამდივნოს, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზაციულ საკითხებზე, არ ნიშნავს მის სრულყოფილებიანობას, როგორც გადაწყვეტილების მიღების ასევე, პლატფორმის ფინანსური მხარდაჭერის საკითხებში და ნებისმიერ ორგანიზაციას აქვს უფლება, მას შემდეგ რაც მიმდინარე პროექტი დასრულდება, შეიტანოს განაცხადი პლატფორმის გაძლიერებისთვის, მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით.

ქვეჯგუფის საკითხთან დაკავშირებით, კახა გოგოლაშვილმა აღნიშნა, რომ რამდენადაც ქვეჯგუფი არ აქტიურობს და არ იმართება შეხვედრები ავტომატურად შეწყდა ფუნქციონირება. თუმცა, თუ კი ეს საკითხი ისევ აქტუალურია და ორგანიზაციებს აქვთ სურვილი ამ მიმართულებით მუშაობის, პროცედურა ქვეჯგუფის ჩამოყალიბების ძალიან მარტივია და შესაძლებელია ქვეჯგუფი ისევ ამოქმედდეს განსხვავებული შემადგენლობით.

პლატფორმის თავმჯდომარე ასევე გამოეხმაურა ენერგოეფექტურობის ფონდის ინიციატივას შეიქმნას წესდებაზე მომუშავე ჯგუფი და ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე იმსჯელოს საკოორდინაციო საბჭომ სრული შემადგენლობით. ამდენად, წესდებასთან დაკავშირებული ინიციატივები საკოორდინაციო საბჭოს შემდეგი შეხვედრისთვის გადაიდო განსახილველად.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა

---

<sup>1</sup> სამდივნოს შენიშვნა: საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდების 4.10 მუხლის თანახმად: „*ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელ ერთი და იგივე ფიზიკურ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ერთდროულად ორი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, ერთში - კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით, ხოლო მეორეში - სათათბირო ხმის უფლებით*“